5157-02-2-201804041056

N 02/5157
04/04/2018

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

მოგეხსენებათ, რომ სექსუალური შევიწროება, როგორც საჯარო სივრცეში, ისე სამუშაო ადგილზე ქალთა დისკრიმინაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ფარული ფორმაა. ამასთან, მცირეა შემთხვევათა გამოვლენის მაჩვენებელი, რასაც არაერთი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის, უარყოფითი გენდერული სტერეოტიპები, მსხვერპლის დადანაშაულების პრაქტიკა, ინფორმაციის ნაკლებობა და არასაკმარისი საკანონმდებლო გარანტიები.

საქართველოს სახალხო დამცველის შესწავლის შედეგები ცხადყოფს, რომ საკანონმდებლო რეგულირებასთან ერთად, მნიშვნელოვანია დასაქმების ადგილზე შიდა უწყებრივი პოლიტიკის ჩამოყალიბება და თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება. საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, დამსაქმებელთა მიერ დისკრიმინაციის პრევენციის მექანიზმების დანერგვა გაცილებით ეფექტიანი და ნაკლები დანახარჯების მომტანია დარღვეული უფლების აღდგენის თვალსაზრისით.

აღნიშნული მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის ვებ-გვერდზე განთავსებულია გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ტექნიკური მხარდაჭერით მომზადებული ელექტრონული სასწავლო კურსი „სექსუალური შევიწროება დასაქმების ადგილზე“[1], რომელიც პრაქტიკული და თეორიული სწავლების ელემენტებით ამომწურავი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლევა. ხოლო კურსის წარმატებულად გავლის შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი.

ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველს შემუშავებული აქვს შიდა უწყებრივი პოლიტიკის დოკუმენტი[2], სექსუალური შევიწროების პრევენციის და შემთხვევებზე რეაგირების საკითხებზე. აღნიშნული დოკუმენტის უმთავრესი მიზანი პრევენციაა, თუმცა ამავდროულად განსაზღვრავს ეფექტიან პოლიტიკას მომხდარი შემთხვევების შესწავლისა და მათზე რეაგირებისთვის.

[1] კურსი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://sexualharassment.ombudsman.ge/ka/login
[2] დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4903.pdf

საქართველო, თბილისი 0179, ნ. რამიშვილის ქ.N6, ტელ.: (+995 32) 2 913814/15; ფაქსი: (+995 32) 2913841
ცხელი ხაზი: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; ელ–ფოსტა: info@ombudsman.ge
6 N. Ramishvili St., Tbilisi 0179, Georgia, Tel.: (+995 32) 2 913814/15; Fax: (+995 32) 2913841
Hotline: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; E-mail: info@ombudsman.ge

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოს მუშაობა სექსუალური შევიწროების პრევენციის შიდა უწყებრივი რეაგირების მექანიზმის შექმნაზე, ამასთან, გამოვთქვამთ სრულ მზადყოფნას, ჩავერთოთ სამუშაო პროცესში და გაგიზიაროთ ჩვენი გამოცდილება. ასევე, გთხოვთ, სექსუალური შევიწროების შესახებ ელექტრონული სასწავლო კურსის გავლა დაევალოს სამინისტროს სტრუქტურაში დასაქმებულ ყველა პირს.

წინასწარ მადლობას მოგახსენებთ თანამშრომლობისთვის!

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

.